საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არჩვი

არჩვი, ფსიტი (Rupicapra rupicapra), ჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა. სხეულის უკანა მხარე წინაზე შესამჩნევად მაღალი აქვს (სიმაღლე მინდაოში 65–70 სმ, მენჯთან – 75–85 სმ აღწევს). მასა 30 კგ. ვაცი უფრო დიდია და მურა. ორივე სქესს აქვს სწორად აღმართული, 20 სმ-მდე სიგრძის, წვერში მოკაუჭებული რქები. რქების უკან აქვთ ჯირკვლები, საიდანაც ხურაობის დროს (ოქტ-იდან დეკ-მდე) გამოიყოფა სპეციფ. სუნის სეკრეტი. მაკეობა 6 თვემდე გრძელდება, შობს 1–2 თიკანს. სქესობრივ სიმწიფეს 2 წლისა აღწევს, ზრდას 3 წლისა ამთავრებს, ცოცხლობს 25 წლამდე. იკვებება ბალახითა და ნეკერით. საქართველოში გავრცელებული ქვესახეობა – კავკასიური არჩვი (R. r. caucasica) – ბინადრობს ზ. დ. 800–3000 მ ფარგლებში სუბალპ. და ალპ. ზონაში, იშვიათად ჩამოდის ტყის ქვედა სარტყელშიც. ადამიანისა და ბუნებრივი მტრების გავლენით მისი რაოდენობა თანდათან მცირდება და ამჟამად 5000 სულს არ აღემატება. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“.